



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1997/ს



12/10/2021

1997-11-4-202110121731

### ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით N678 ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 37-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს შესახებ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტის, 33-ე, 79-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, ასევე, ტყითსარგებლობის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 05 ოქტომბრის N17881 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N678 ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-„სააგენტო“) სოფელი ჭოპორტი, ბარისახოს სატყეო უბნის ჭოპორტის სატყეოს კვარტალი N31-ის ლიტერი N5-ში მდებარე 684.00 მ2 მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 71.64.91.540).

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითსარგებლობის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი